ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური**

აგროტექნოლოგია

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

28.12.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 424066977 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | აგროტექნოლოგია |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | აგროტექნოლოგიის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0811 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | 02.05.2019 N110 |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტირებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **გიორგი ჯაფოშვილი**–პროფესორი, ენტომოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ა(აიპ) - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა წიკლაური - შპს „გლავსპირტპრომი", საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო დეკანოიძე - სტუდენტი ექსპერტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა „აგროტექნოლოგია“ ხორციელდება 2016 წლიდან. პროგრამამ აკრედიტაცია მოიპოვა 2014 წ. (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 02.05.2014; №94).
აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას რეაკრედიტაციის შემდეგ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით - 02.05.2019; №110, მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლისა და 6 თვის ვადით. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვრა 2020 წლის 02 მაისი.

აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა აგროტექნოლოგიაში, შეასწავლოს კვლევის თანამედროვე მეთოდები, აწარმოოს გამოყენებითი ხასიათის კვლევები სოფლის მეურნეობაში, შეძლოს ორიენტირდეს დინამიურად ცვლად გარემოში,გამოიყენოს ინფორმაციის ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდები დადამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა.
პროგრამაში აღწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მიზანი, სწავლის შედეგები, შედეგების რუქა და შეფასების მექანიზმი, სტუდენტის დასაქმების მიმართულები და პროგრამის სასწავლო გეგმა.
აკრედიტაციის პერიოდიდან დღემდე პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 6 ნოემბერის (ცენტრის დირექტორის 2020 წლის 07 აგვისტოს ბრძანება, №**673591**). ,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ვიზიტი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და მოხდა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ადმინისტრაციის, განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტებისა, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და ვიზიტის ბოლოს ადმინისტრაციის მიმართ გამოთქმული იქნა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიგნებები. 2019 წლის ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციის უმეტესობა შესრულებულია. ვიზიტის ბოლოს, სააკრედიტაციო ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები და გაუზიარა რჩევები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა

,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა:
პირველი სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მეორე სტანდარტი: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მესამე სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მეოთხე სტანდარტი: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მეხუთე სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

1. წინაპირობებში აუცილებელია განმარტებული იყოს, როგორ მოხდება საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქის მიღება.
2. უნდა იყოს ასევე მითითებული რომელ უცხო ენის გამოცდაზეა საუბარი. მიეთითოს, რომელი უცხო ენა ბარდება მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე.
3. უნდა გასწორდეს პროგრამის სტრუქტურის და კრედიტების საათების განაწილების ცხრილში საათების განაწილების დაჯამება.
4. საჭიროა სილაბუსებში თემატიკა შესაბამისობაში იყოს საგნის სახელწოდებასთან. მაგ. „ტყის მავნებელ დაავადებების მონიტორინგი და ბიომრავალფეროვნების დაცვა“-ს უნდა დაემატოს ბიომრვალაფეროვნების შესახებ შესაბამისი ლექცია ან ლექციები. ასევე „მრავალწლიანი კულტურების აგროტექნოლოგია“-ში, უფრო დეტალურად უნდა იყოს საუბარი მრავალწლოვან კულტურებზე, განსაკუთრებით, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასევე, ამ მიმართულებით ქვეყანაში მიმდინარე ტენდენციებზე.
5. სასურველია, საგანს „სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა“ შეეცვალოს არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი, რადგან პირდაპირ ასახავს საკაცობრიო პრობლემებს გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების თვალსაზრისით.
6. პროგრამის სტრუქტურაში სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მეთოდიკის სემესტრი უნდა გასწორდეს და ნაცვლად 7-ისა დაიწეროს 1.

7. ლაბორატორიისათვის საჭიროა მინიმუმ 1 სტერეო მიკროსკოპის ქონა.

8. საჭიროა, წარმოდგენილი იყოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს რა დანახარჯებია და როგორაა იგი შესაბამისობაში პროგრამასთან.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, ინფორმაციის გაცვლის მიზნით, მეტი კავშირი დამსაქმებლებთან.

2. სასურველია, სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ტესტის საკითხები გადაიხედოს და შესაბამისად გამარტივდეს.

3. სასურველია, მომზადდეს შესაბამისი განახლებული სალექციო კურსი იმ საგნებში, სადაც გამოყენებული თითქოს ახალი ლიტერატურა აგებულია ძველ ლიტერატურაზე.

4. სასურველია, აკადემიური პერსონალი, სტუდენტებთან ერთად, უფრო მეტად იყვნენ ჩართული კვლევით პროექტებში.

5. სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში (სილაბუსებში) ნათლად იყოს შესაბამისი კატეგორიებისათვის გამოყოფილი საათობრივი დატვირთვა: პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები, სემინარი/ჯგუფში მუშაობა.

6. სასურველია პრაქტიკული დაემატოს საგნებს სადაც ეს საჭიროა.

7. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომში მეტი ყურადღება დაეთმოს მასალისა და მეთოდიკის ნაწილს, ასევე საკუთარი კვლევის შედეგების ანალიზს.

8. სასურველია ხელმძღვანელებმა და ძირითადმა პერსონალმა გაააქტიურონ სამეცნიერო მუშაობა, რაც უნდა აისახოს იმფაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებში.

9. სასურველია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო გაააქტიუროს მუშაობა, რათა კიდევ უფრო დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს პროგრამა და მეტად მოვიდეს შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები, რომელიც აღწერს თუ რა ტიპის სპეციალისტს მოამზადებს.<br>აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა აგროტექნოლოგიაში. შეასწავლოს აგროტექნოლოგიაში კვლევის თანამედროვე მეთოდები, განხორციელოს გამოყენებითი ხასიათის კვლევები სოფლის მეურნეობაში, ორიენტირდეს დინამიურად ცვლად გარემოში, გამოყენოს ინფორმაციის ანალიზისა დასტატისტიკური მეთოდები და დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევები. პროგრამა ითვალისწინებს რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები გაზიარებულია რეგიონის დამსაქმებლ ორგანიზაციებთან და გათვალისწინებულია მათი რეკომენდაციებიც, მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი კავშირები დამსაქმებლებთან. პროგრამა აქტუალურია, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მისი მიზნების რეალიზებით წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების დასაქმების ხელშესაწყობად, რადგან პროგრამა ორიენტირებულია იმ ქვედარგობრივი მიმართულების უფრო მეტად ჩაღრმავებისკენ, რომელიც სპეციფიკურია სამცხე-ჯავახეთისთვის. პროგრამის მიზნები მიღწევადია და ორიენტირებულია განვითარებისკენ. წარმოდგენილ სწავლის შედეგების მიზნებთან შესაბამისობის ცხრილში და სწავლის შედეგების რუქაში კავშირი მიზნებსა და შედეგებს შორის მეტწილად ლოგიკურია. პროგრამის განვითარების მიზნით შექმნილია თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ქმედებებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o უნივერსიტეტის მისია;<br>o უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>o საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები;<br>o შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;<br>o პროგრამის ბიუჯეტი;<br>o თანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულებები; |

o ინტერვიუ დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

o

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.

,,აგროტექნოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დოკუმენტაციაში წარმოდგენილი რაოდენობრივი მაჩვენებელი (თვითშეფასების დოკუმენტში 1 კურსდამთავრებულია) არაა შესაბამისობაში რეალურ მონაცემთან (ვიზიტისას ჩვენ ვნახეთ 4 დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი). სტუდენტები და კურსდამთავრებულები თვლიან, რომ დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნებიან, რასაც პროგრამის ეფექტურობის და პროგრამის ფარგლებში განვითარებული უნარებისა და შეძენილი ცოდნის დამსახურებად მიიჩნევენ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩვენ გაგვიჭირდა დაგვედგინა დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამაში, თუმცა ზოგადი გამოკითხვის შედეგების ანალიზში დამსაქმებელი ფიგურირებს, მაგრამ არ ჩანს რომელ პროგრამაზეა საუბარი. დასაქმების ბაზარზე სამაგისტრო პროგრამის ორიენტულობის გასაზრდელად უნდა ხდებოდეს დამსაქმებელთა რეგულარული გამოკითხვა დარგის მიხედვით და ამ გამოკითხვებით, დგინდებოდეს თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა. საჭიროა დამსაქმებლებთან ინტენსიური კონტაქტი.

ინტერვიუებისას ცხადი იყო, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დამსაქმებელთან ერთად მხარდაჭერას უცხადებს პროგრამას და მზადაა შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული და პროგრამის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების შრომის ბაზარზე, რაც ასახულია სწავლის შედეგების რუკაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა და მისი მიზნები;
- ,,აგროტექნოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, ინფორმაციის გაცვლის მიზნით, მეტი კავშირი დამსაქმებლებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

| |
|---|
| ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა, გადალახა ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვა უფლება ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე. აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე კონკურსანტი აბარებს გამოცდას უცხო ენაში, რათა დადგინდეს უცხო ენის ცოდნის დონე ან შეუძლია წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).<br>უცხოელი მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. ამიტომ, უცხოელი მოქალაქეები წარმოადგენენ საბუთს ქართული ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ, ან ქართულენოვანი პროგრამის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში.<br>პროგრამაზე ასევე შეუძლიათ, სწავლა გააგრძელონ მობილობის წესით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთა გაცემულ დიპლომს აღიარებს სახელმწიფო) და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის მაგისტრანტებმა.<br>მაგისტრანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგრამ არჩეული მიმართულებისაგან განსხვავებულ სპეციალობებში. პროგრამაზე შესაძლებელია, განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში არსებული წესის შესაბამისად.<br>უნივერსიტეტში სასპეციალიზაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კონკურსანტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში რეგისტრაციის გავლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგამოცდო ტესტის საკითხები, რომელიც ვიზიტის დროს იქნა წარმოდგენილი, საკმაოდ რთულია აღნიშნული საფეხურისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>o საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაზე მიღების წინაპირობები;<br>o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.sjuni.edu.ge;<br>o ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.<br>o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ |

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>წინაპირობებში აუცილებელია განმარტებული იყოს, როგორ მოხდება საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქის მიღება.<br><br>მიეთითოს, რომელი უცხო ენა ბარდება მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე (ინგლისური, გერმანული). |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>სასურველია, სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ტესტის საკითხები გადაიხედოს და შესაბამისად გამარტივდეს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია სჯსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურის დაგეგმვისას არის გათვალისწინებული პროგრამის შინაარსი, მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სტრუქტურაში ჩართული სასწავლო კურსებისთვის ზოგიერთ შემთხვევაში არის გათვალისწინებული დაშვების წინაპირობები. საჭიროა პროგრამა დაცული იყოს ტექნიკური შეცდომებისგან. მაგ. პროგრამის სტრუქტურის და კრედიტების საათების განაწილების ცხრილში საათების განაწილების დაჯამება არასწორია. ზოგ შემთხვევაში საგამოცდო საათების რაოდენობა არაადეკვატური.

სამაგისტრო პროგრამით „აგროტექნოლოგია" აგრარული მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას ისე, რომ აქედან 62 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს , 10 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკას, 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას, 8 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს, 10 კრედიტი - თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსებს. კრედიტების ყოველწლიური რაოდენობა არის 60.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა „აგრაროტექნოლოგია";
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.sjuni.edu.ge;
- პროგრამისშემუშავებაშიჩართულიდაინტერესებულიპირებისმონაწილეობის მტკიცებულებები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

უნდა გასწორდეს პროგრამის სტრუქტურის და კრედიტების საათების განაწილების ცხრილში საათების განაწილების დაჯამება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები აგებულია დასახული მიზნების მისაღწევად. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება მაგისტრატურის აღმწერის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ სილაბუსში წარმოჩენილია სწავლის შედეგი, რომელიც პირველი საფეხურის კომპეტენციას მეტად შეესაბამება. ამის შესახებ განმახორციელებელმა პერსონალმა განმარტა, რომ გათვალისწინებულია იმ კონტიგენტის ცოდნის

დონე, რომლებიც არიან სხვა დარგობრივი მიმართულების კურსდამთავრებულები. შესაბამისმა არგუმენტაციამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა იმაში, რომ მისაღები გამოცდის ტესტები ვერ ასახავს რეალურ მოცემულობას. სილაბუსებში ზოგჯერ ხდება სალექციო კურსის შინაარსის, ასევე სალექციო კურსის და სამუშაო ჯგუფის/პრაქტიკულის, გადაფარვა, რაც მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას, როგორც შედგენისას ასევე თვითშეფასების დროს. პროგრამის სილაბუსებში შეინიშნება თანამედროვე ლიტერატურის სიმწირე. სასწავლო კურსებში ხშირად ლიტერატურა არაადეკვატურია. უცხოენოვანი ლიტერატურა სილაბუსებში ნაკლებადაა, თუმცა გამოყენებულია. საჭიროა სილაბუსების ლიტერატურით გამრავალფეროვნება.
ამასთან საჭიროა სილაბუსებში თემატიკა შესაბამისობაში იყოს საგნის სახელწოდებასთან. მაგ. სილაბუსები „ტყის მავნებელ დაავადებების მონიტორინგი და ბიომრავალფეროვნების დაცვა“ და „მრავალწლიანი კულტურების აგროტექნოლოგია“, სრულად ვერ პასუხობს საგნის დასახელებას. შესაბამისად ერთ შემთხვევაში ბიომრვალაფეროვნებაზე ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი, ხოლო მეორე შემთხვევაში, ვაზი და მევენახეობა დომინირებს და სხვა კულტურებზე ნაკლებადაა ინფორმაცია. საგანი „სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა“ პირდაპირ ასახავს საკაცობრიო პრობლემებს გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების თვალსაზრისით, ამიტომ, საჭიროა იყოს სავალდებულო და არა არჩევითი, (პროგრამაში მითითებულია სავალდებულო, სილაბუსში არჩევითი. ვიზიტის დროსაც პედაგოგთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ არის არჩევითი).

მიუხედავად აღნიშნულისა, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა მეტწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა ,, აგროტექნოლოგია“;
- სასწავლო კურსებისსილაბუსები;
- ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომელთან, ბიბლიოთეკის კატალოგი;
- მაგისტრანტთა გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

საჭიროა სილაბუსებში თემატიკა შესაბამისობაში იყოს საგნის სახელწოდებასთან. მაგ. „ტყის მავნებელ დაავადებების მონიტორინგი და ბიომრავალფეროვნების დაცვა“-ს უნდა დაემატოს ბიომრვალაფეროვნების შესახებ შესაბამისი ლექცია ან ლექციები. ასევე „მრავალწლიანი კულტურების აგროტექნოლოგია“-ში, უფრო დეტალურად უნდა იყოს საუბარი მრავალწლოვან კულტურებზე, განსაკუთრებით, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასევე, ამ მიმართულებით ქვეყანაში მიმდინარე ტენდენციებზე.

სასურველია, საგანს „სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა“ შეეცვალოს არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი, რადგან პირდაპირ ასახავს საკაცობრიო პრობლემებს გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, მომზადდეს შესაბამისი განახლებული სალექციო კურსი იმ საგნებში, სადაც გამოყენებული თითქოს ახალი ლიტერატურა აგებულია ძველ ლიტერატურაზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

| ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>როგორც თვითშეფასების ანგარიშშია წარმოდგენილი კვლევითი უნარების გამომუშავებისა და მაღალი ხარისხის ნაშრომის შექმნის ხელშესაწყობად განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს თემის ხელმძღვანელის კომპეტენციას. გარდა იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში აუცილებელია მაგისტრანტის ინტერესებისა და თემის ხელმძღვანელის კვლევის სფეროს თანხვედრა (ე. ი. პროგრამას აქვს თემის ხელმძღვანელის შერჩევის აუცილებელი მოთხოვნები. აგრეთვე შემუშავდა თემის ხელმძღვანელის შეფასების კრიტერიუმები).<br>კვლევების ხარისხის ამაღლებას ემსახურება რეგულაცია, რომელიც პროფესორს ხუთზე მეტი სტუდენტის ხელმძღვანელობის უფლებას არ აძლევს (5 სტუდენტი ითვლება ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე ერთად).<br>პროგრამა ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში, მაგისტრანტს დაენიშნოს თანახელმძღვანელიც. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაძლებლობა, მაგისტრანტის ინტერესის შესაბამისად მოიწვიოს დარგის სპეციალისტი.<br>უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს გაეცნოს შეფასების შედეგებს, მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (სამეცნიერო კონფერენციები, სპორტული ღონისძიებები, ადმინისტრაციული საკითხები, დასვენების სერვისები და სხვ.). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>o აკადემიური/მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები ~<br>o შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან<br>o სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი<br>o აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ანალიზი<br>o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>o ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ;<br>o სამაგისტრო ნაშრომები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br>პროგრამის სტრუქტურაში სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მეთოდიკის სემესტრი |

უნდა გასწორდეს და ნაცვლად 7-ისა დაიწეროს 1.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, აკადემიური პერსონალი, სტუდენტებთან ერთად, უფრო მეტად იყვნენ ჩართული კვლევით პროექტებში

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების მიხედვით სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სწავლების საფეხური. ყურადღება მახვილდება ისეთ მეთოდებსა და სტრატეგიებზე, რომლებიც უვითარებს მაგისტრანტს ძველზე დაფუძნებული ახალი ცოდნის გააზრების, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანის, დამოუკიდებლად აზროვნების, ფაქტების, მოვლენების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარებს.

კერძოდ, პროგრამით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები, სწავლების ფორმები და საშუალებები:

პრეზენტაცია

კვლევითი ნაშრომი

დისკუსია/დებატები

პრაქტიკული/ლაბორატორიული/თეორიული დავალების შესრულება

ლექცია
პრაქტიკული მუშაობა
სემინარი/ჯგუფში მუშაობა
პრაქტიკული მეცადინეობები არ აქვს ბევრ საგანს, სადაც პრაქტიკული სასურველია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტების (TEMPUS-ის 4 პროექტი და ERASMUS+ -ის სამი მიმდინარე პროექტი) (საგრანტო ხელშეკრულებები და ხელმძღვანელის სერტიფიკატები);
- სამაგისტრო ნაშრომების/პროექტის მომზადების ინსტრუქცია.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამის სტრუქტურაში ნათლად იყოს შესაბამისი კატეგორიებისათვის გამოყოფილი საათობრივი დატვირთვა: პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები, სემინარი/ჯგუფში მუშაობა.

სასურველია პრაქტიკული დაემატოს საგნებს სადაც ეს საჭიროა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.<br>დადებითი შეფასებებია:<br>• (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;<br>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;<br>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;<br>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;<br>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.<br><br>უარყოფითი შეფასებებია:<br>• (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პროგრამის კონკრეტული კომპონენტის სილაბუსებში. სილაბუსებში მოცემული შეფასების მეთოდები სრულად შეესაბამება საგანთა სპეციფიკას და გამომდინარეობს მისგან.<br>თითოეულ მათგანს ახლავს შეფასების კონკრეტული კომპონენტები, შესაბამისად, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის (განთავსებულია სტუდენტის ელექტრონულ ბაზაზე. აგრეთვე, სტუდენტებს მიეწოდება ამობეჭდილი სახით სასწავლო სემესტრის დასაწყისში სასწავლო კურსის აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ.); თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.<br>სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტებთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების შედეგების შესახებ, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში უკეთ გაიაზრონ თავიანთი შედეგები, გასაუმჯობესებელი მხარეები და იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე.<br>სამაგისტრო ნაშრომი გათვალისწინებულია მე-4 სემესტრში და ფასდება იმავე სემესტრში. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>o სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამა, სილაბუსები, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები<br>o სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება<br>o სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ინსტრუქცია<br>o (შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი, შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი<br>o ვებგვერდი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
